

თბილისში ტროტუარზე პარკირების 101 ადგილი გაუქმდა



თბილისის მერიის ინფორმაციით, დედაგადაში ტროტუარებზე ავტომობილების პარკირების 101 ადგილი გაუქმდა.

“ქვეითების უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის თბილისის მთავრობამ ტროტუარებზე ავტომანქანების პარკირების კიდევ 101 ადგილის გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო. ტროტუარებზე ავტომანქანების პარკირების ყველაზე მეტი ადგილი შეემცირდა: გრიგორ რობაქიძის გამზირის კორპუს 2ა-2ბ-სთან – 21 ერთეული და ვაჟა-ფშაველას გამზირის N30-ის მიმდებარედ – 23. სურ ვაჟა-ფშაველას გამზირზე არსებულ ტროტუარებზე ავტომანქანების დგომის 65 ადგილი შეიზღუდა. ასევე, ჭავჭავაძის N37-თან ტროტუარებზე პარკირების 12 ადგილი გაუქმდა. ანალოგიური ცვლილებები შეეხო ყაზბეგის გამზირის N9ა-ში არსებულ პარკირების სამ ადგილსაც.

თბილისის მერია ქვეითთა უსაფრთხოების სტანდარტების ასამაღლებლად, ტროტუარებზე პარკირებას ეტაპობრივად აუქმებს. 2014 წელს ქვეითთა სავარ ბოღზე არსებულ 2 200 ადგილიდან დღეისთვის, სურ 924-ია დარჩენილი.

პარადეღურად, დედაქალაქის საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა უბანში, ავტომობილების 186 სადგომი ადგილი დაემატა, მათ შორის, რიყის ტერიტორიაზე – 105, წინანდლის ქუჩაზე – 30, ხორ ვირსადაძისა და ხიდის ქუჩებზე, სადაც ამჟამად, მასშტაბური სარეკონსტრუქციო სამუშაოები მიმდინარეობს, ჯამში 40 ადგილი.

მიითთებურ მისამართებზე მერია პარკირების ადგილებს შუამ
პირთათვის გამოყოფს” – აღნიშნულია თბილისის მერიის
განცხადებაში.